ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 32

2019 წ. „05“ 08

ქ. თბილისი

ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (ს/კ: 231284277) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 5 აგვისტოს № 10 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
დავით მალაზონია

მდივანი
თამილა ჩუბინიძე